ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის

დებულება

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებსა და ინსტიტუტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ინსტიტუტის დებულებას შეიმუშავებს მისი ხელმძღვანელი და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დებულების დამტკიცების შემთხვევაში ფაკულტეტის ადმინისტრაცია ინსტიტუტის დებულებას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

მუხლი 2. ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის სტატუსი

1. ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი (შემდგომში – ინსტიტუტი) არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საგანმანათლებლო და კვლევითი მიზნებისთვის შექმნილი ინსტიტუტი, რომელიც მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის (შემდგომში – ფაკულტეტი) კონტროლის პირობებში ახორციელებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობას.

2. ინსტიტუტი შექმნილია წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (29/9/2009 წ., ოქმი №12)

მუხლი 3. ინსტიტუტის მიზნები:

1. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

   ა) ციფრული ჰუმანიტარია: კომპიუტერული ლინგვისტიკა, ციფრული ეპიგრაფიკა, ციფრული პროსოპოგრაფია;

   ბ) ქართული ჟესტური ენის კვლევა;

   გ) ქართველურ ენათა ტიპოლოგიური კვლევა, ქართული და აფხაზური ენების, განსაკუთრებით ქართულ-აფხაზური პარალელური ტექსტების ელექტრონული დოკუმენტაცია;

დ) ტექსტოლოგია, ძველი ქართული სიტყვიერი მემკვიდრეობის კვლევა, პუბლიკაცია;

ე) ქართული ენის სოციალური ისტორიის კვლევა;

ვ) ქართულის როგორც მეორე ენის და ქართულის როგორც უცხო ენის სტანდარტიზაციის საკითხთა კვლევა სახელმძღვანელოების მომზადების მიზნით;

ზ) შუა საუკუნეებისა და მოდერნულობის ქართულ-ევროპული წყაროების კვლევა, თარგმნა, პუბლიკაცია.

მუხლი 4. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი ახორციელებს ინტერდისციპლინურ პროექტებს ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერებისა და ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში. კვლევის ძირითადი სფეროებია:

   ა) კორპუსული ლინგვისტიკა;

   ბ) ბუნებრივი ენის მოდელირება;

   გ) კომპიუტერული ლექსიკოგრაფია;

   დ) ქართული ჟესტური ენის კვლევა;

   ე) ქართველურ ენათა კვლევა;

   ვ) ქართული ენის სოციალური ისტორიის კვლევა;

   ზ) ტექსტოლოგია, ძველი ქართული ფილოლოგია;

   თ) ქართულის როგორც უცხო ენისა და ქართულის როგორც მეორე ენის კვლევა.

მუხლი 5. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტი წარმოადგენს მეცნიერ-მკვლევართა და პროფესორთა გაერთიანებას, რომელთა საქმიანობა ემორჩილება დებულებით განსაზღვრულ მისიას, საქმიანობის პრინციპებს, მიზნებსა და მიმართულებებს;

2. ინსტიტუტის სტრუქტურაში შედის: ჟესტური ენის ლაბორატორია, ქართველური ენების კვლევის ჯგუფი, ქართული ენის სახელოსნო და აფხაზური ენის დოკუმენტირებისა და კვლევის ცენტრი.

   2.1. ქართული ენის სახელოსნოს მიზნები და ამოცანები:

   - ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის მეთოდური ხაზის და შესაბამისი სახელმძღვანელოების შემუშავება;
   - ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის სასწავლო მასალების შემუშავება;
   - სწავლების ონლაინ-ფორმატის ელემენტების შემუშავება და დანერგვა ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის სწავლა-სწავლების პროცესში;
   - ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის მასწავლებლის პროგრამის სტუდენტების პრაქტიკისა და სტაჟირების უზრუნველყოფა სახელოსნოს მიერ შემუშავებული სასწავლო და მეთოდური მასალების გამოყენებით;

- ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის მასწავლებლის პროგრამის სტუდენტების ჩართვა სახელოსნოს მიერ განხორციელებულ კვლევით პროექტებში;

- ქართულ ენაში მომზადების და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისთვის დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება (საუნივერსიტეტო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შესრულებული პროექტები, ტრენინგები, ფილმების ჩვენება და დისკუსიები, ტუტორიუმი და სხვ.);

- ღონისძიებების ორგანიზება ქართულ ენაში მომზადების და ინტეგრაციის, ასევე, ქართულის, როგორც მეორე და უცხო ენის მასწავლებლის მომზადების პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით (გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები არაქართულენოვან აბიტურიენტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის ღია კარის დღეების ორგანიზება უნივერსიტეტში და სხვ.);

- გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ქართული ენის კურსების შემუშავება უცხოელი სტუდენტებისა და ლექტორებისთვის;

- საზაფხულო სკოლების ჩატარება.

მუხლი 6. ინსტიტუტის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის დირექტორი და ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის ყველა პროფესორისა და მკვლევრისაგან.

2. ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურას განიხილავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს რექტორი.

3. ინსტიტუტის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. საბჭო უფლებამოსილია, თუკი საბჭოს სხდომას ესწრება ინსტიტუტის წევრების ნახევარი.

4. ინსტიტუტის საბჭო:

   ა) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასთან დაკავშირებით;

   ბ) ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს;

   გ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ინსტიტუტის ახალი წევრების კანდიდატურებისა და მათდამი წასაყენებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით;

   დ) ინსტიტუტის დირექტორთან ერთად შეიმუშავებს აკადემიურ საბჭოზე წარსადგენ ინსტიტუტის დებულების პროექტს.

5. ინსტიტუტის დირექტორი:

   ა) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საქმიანობას;

   ბ) აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს, ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას და ინსტიტუტის დებულებას;

   გ) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს წინადადებებს სამუშაოზე ასაყვანი მკვლევრებისა და პროფესორების კანდიდატურებთან დაკავშირებით;

   დ) ყოველი წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

6. ინსტიტუტის სტრუქტურაში შემავალი ცენტრების დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 7. საბჭოს სხდომა

1. ინსტიტუტის საბჭოს სხდომას იწვევს დირექტორი ან ინსტიტუტის საბჭო;

2. საბჭოს სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;

3. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს „საბჭოს გადაწყვეტილების“ სახით.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტს ჰყავს აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და დამხმარე პერსონალი;

2. ინსტიტუტის პერსონალის შრომითი ფუნქციები გაწერილია მათ შრომით კონტრაქტში.

3. აკადემიური პერსონალის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ინსტიტუტის ქონება და ბიუჯეტი

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის ქონებით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია: საბიუჯეტო ასიგნებანი, ინსტიტუტის შემოსავლები, სამეცნიერო და/ან სხვა სახის გრანტები, შემოწირულობანი, სამეურნეო საქმიანობით მიღებული და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული.

3. ინსტიტუტის ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 10. ინსტიტუტის გარდაქმნა და გაუქმება

1. ინსტიტუტის გარდაქმნის და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 11. დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის წესი

1. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების პროექტს შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორი და ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

2. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის შესახებ პროექტი უნდა იყოს დასაბუთებული და ასახავდეს ცვლილების ან/და დამატების შეტანის აუცილებლობას.